დამტკიცებულია:
სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს დადგენილებით #392872;
04.04.2024 წ. ოქმი #3

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების მსმენელთა შეფასების წესი

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და

უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

2. სწავლის შედეგების შეფასება ხოციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული

გადამზადების პროგრამების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს, ასევე პროგრამის დასრულებისას.

3. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია

შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში.

5. შეფასების შედეგები მსმენელს ეცნობება იმავე დღეს.

6. შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება 5 დღის ვადაში.

7. პროგრამის დასრულებიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების დეპარტამენტთან (შემდგომში დეპარტამენტი) შეთანხმებით ნიშნავს განმეორებით განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.

8. გასაჩივრების შემთხვევაში შეფასების გაცნობიდან მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის ვადაში მსმენელმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს დეპარტამენტის უფროსს.

9. წერილობითი განცხადება უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგენილი განცხადება არ განიხილება. გადაწყვეტილება საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10. დეპარტამენტის უფროსი საჩივრის წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა იღებს გადაწყვეტილებას საჩივრის განხილვის ან განუხილველად დატოვების თაობაზე.

11. თავდაპირველად საჩივარი რეაგირებისათვის გადაეცემა განმახორციელებელ პირს 2 სამუშაო დღის ვადაში. განმახორციელებელი პირი, ვალდებულია, სტუდენტთან ერთად 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილოს შესრულებული ნამუშევარი და მისცეს მას ამომწურავი პასუხი მიღებულ შეფასებასთან დაკავშირებით.

12. შეფასების ცვლილების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განმახორციელებელი პირი, ვალდებულია დეპარტამენტის უფროსს მიაწოდოს სრული ინფორმაცია სტუდენტის შეფასების ცვლილების შესახებ, სადაც უნდა დაფიქსირდეს ცვლილების მიზეზი;

13. სტუდენტს უფლება აქვს, წერილობით უარი განაცხადოს საკუთარ მოთხოვნებზე საჩივრების განმხილველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. საჩივარზე უარის თქმა აჩერებს საქმისწარმოებას.

14. დეპარტამენტის უფროსს, უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

15. საჩივრის განხილვის მიზნით დეპარტამენტის უფროსის მიერ იქმნება დროებითი სააპელაციო კომისია, რომელიც შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან, განცხადება განიხილება მისი რეგისტრაციიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში.

16. დროებითი სააპელაციო კომისიის წევრი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის მასწავლებელი, მოწვეული მასწავლებელი ან დარგის სპეციალისტი, რომელიც არ არის იმავე გამოცდის გამსწორებელი.

17. დროებითი სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული

გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.

18. დროებითი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

19. გასაჩივრების დაკმაყოფილების და მსმენელის შეფასების მის სასარგებლოდ შეცვლის შემდეგ, შემფასებელი ვალდებულია აღნიშნული ასახოს შეფასების უწყისში.

20. შეფასების შედეგი მსმენელს ეცნობება იმავე სამუშაო დღეს.

21. პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

შეტანილი ცვლილებები:

აკადემიური საბჭოს დადგენილება #502784 (29/04/2026წ)